

მოსამართლეობის კანდიდატების მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები

№	გვარი, სახელი	მოკლე ბიოგრაფია
1.	აბშილავა ირაკლი	<p>დაიბადა 1977 წლის 11 ივლისს ქ. ცხავაიაში.</p> <p>2000 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2001-2004 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის საგადასახადო ინსპექციაში იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე.</p> <p>2004-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტში ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.</p> <p>2006-2007 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოს მრჩეველი.</p> <p>2007-2012 წლებში იყო ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2012-2016 წლებში იყო ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში.</p> <p>2016 წლის ივლისიდან დღემდე არის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვადასხვა ტრენინგები, მათ შორის თემაზე: „სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა“, ამასთან მონაწილეობა აქვს მიღებული ერთკვირიან სამუშაო შეხვედრაში პარიზსა და სტრასბურგში თემაზე: „დავის ალტერნატიული გადაჭრის საშუალებები“.</p>
2.	არდაზიშვილი ხატია	<p>დაიბადა 1984 წლის 23 თებერვალს ქ. თბილისში.</p> <p>2005 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2004-2005 წლებში იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის“ ადვოკატი.</p> <p>2005 წელს მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში სხდომის მდივნად.</p> <p>2005-2006 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ.</p> <p>2006-2011 წლებში მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ.</p> <p>2011-2012 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.</p> <p>2012 წლის მაისიდან დღემდე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწედ.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი 30-მდე სწავლება (ტრენინგი), მათ შორის შემდეგ თემებზე: „სამოსამართლო ქცევა და ეთიკა“, „საარჩევნო კანონმდებლობა“, „ლტოლვილთა სამართალი“, „საერთაშორისო დაცვის საკითხები“.</p>

3.	არევაძე გიორგი	<p>დაიბადა 1980 წლის 5 ივნისს ქ. გურჯაანში. 2002 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი ისტორია-იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2005-2008 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ, შემდეგ კი სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწედ. 2008-2012 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2012-2013 წლებში იყო სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და იმავდროულად ამავე სასამართლოს თავმჯდომარე. 2013 წლის დეკემბრიდან დღემდე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2015-2016 წლებში იყო მიწვეული ექსპერტი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. არის სამართლებრივი სახელმძღვანელოს თანაავტორი „სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე“. ამასთან, გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვადასხვა ტრენინგები, შემდეგ თემებზე: „საქმეთა ნაკადის მართვა“, „კორუფციასთან დაკავშირებულ საქმეთა ეფექტიანი განხილვა“, „კიბერდანაშაული“ და სხვა.</p>
4.	ახალგედაშვილი დავით	<p>დაიბადა 1980 წლის 10 ოქტომბერს დაბა ბაღდათში. 2003 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია. 2003-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2005-2006 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სხდომის მდივანი. 2006 წელს მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ. 2006-2009 წლებში იყო რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორი. 2009-2010 წლებში მუშაობდა თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორის თანამდებობაზე. 2010-2011 წლებში იყო სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2011-2017 წლებში იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე. 2017 წლის მაისიდან დღემდე არის მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე დუშეთის მუნიციპალიტეტში და ამავე სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.</p>
5.	ბარამიძე ია	<p>დაიბადა 1977 წლის 22 მარტს ქ. ქუთაისში. 1999 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p>

		<p>2000-2007 წლებში მუშაობდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდისა და თბილისის საქალაქო სასამართლოებში სასამართლო სხდომის მდივნად.</p> <p>2014 წელს იყო სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.</p> <p>2007-2017 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწე.</p> <p>2017 წლის ივნისიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე (მწერალი-თანაშემწე).</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი რამდენიმე ტრენინგი, მათ შორის: „გადაწყვეტილების წერის კულტურა/დასაბუთება“.</p>
6.	ბასილაია ფრიდონ	<p>დაიბადა 1959 წლის 23 მაისს ქ. წყალტუბოში.</p> <p>1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1993-1999 წლებში მუშაობდა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თავდაპირველად მასწავლებლის, ხოლო შემდეგ იურისტ-კონსულტანტის თანამდებობაზე.</p> <p>1999-2005 წლებში იყო ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2005-2009 წლებში იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2009 წლიდან დღემდე ეწევა საადვოკატო საქმიანობას.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვადასხვა ტრენინგი, მათ შორის „გაკოტრების სამართლი“ და „ვალდებულებითი სამართლის აქტუალური საკითხები“.</p> <p>არის სამართლებრივი სახელმძღვანელოს ავტორი „დანაშაულის სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ“ (2003).</p> <p>გამოქვეყნებული აქვს 4 სამართლებრივი სტატია სამოქალაქო სამართლის სხვადასხვა საკითხებზე.</p>
7.	ბეჯანიშვილი თამარ	<p>დაიბადა 1978 წლის 17 თებერვალს ქ. ხაშურში.</p> <p>2000 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2001-2007 წლებში მუშაობდა ხაშურის რაიონულ სასამართლოში თავდაპირველად სხდომის მდივნად, ხოლო შემდეგ მოსამართლის თანაშემწედ.</p> <p>2007-2009 წლებში იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2009-2011 წლებში იყო ყვარლის რაიონული სასამართლოს, ხოლო 2011-2012 წლებში სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო მოსამართლე და მოსამართლის უფლებამოსილებას მივლინების საფუძველზე ახორციელებდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში.</p> <p>2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე არის ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი</p>

		რამდენიმე ტრენინგი, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე. ამასთან მონაწილეობა აქვს მიღებული ერთკვირიან სამუშაო შეხვედრაში სტრასტურგში თემაზე: „სასამართლო არბიტრაჟი“.
8.	ბეჟანიძე ჯუმბერ	<p>დაიბადა 1964 წლის 1 თებერვალს შუახევის რაიონის სოფელ ჭვანაში.</p> <p>1990 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1992-1994 წლებში მუშაობდა აჭარის ა/რ იუსტიციის სამინისტროში კონსულტანტის, ხოლო შემდეგ წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე.</p> <p>1994-1998 წლებში იყო ხელვაჩაურის რაიონის ადმინისტრაციული მოსამართლე.</p> <p>1998 წლიდან დღემდე არის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2004-2005 წლებში იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი რამდენიმე ტრენინგი, მათ შორის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, „ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები (ზოგადი კურსი)“.</p> <p>1991-2015 წლებში იყო ადმინისტრაციული სამართლის სალექციო კურსის ავტორი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.</p>
9.	ბონდარენკო ირაკლი	<p>დაიბადა 1976 წლის 21 მარტს თელავში.</p> <p>1998 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2007-2009 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.</p> <p>1998-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე.</p> <p>2009-2011 წლებში იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2011-2017 წლებში იყო სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.</p> <p>2017 წლის მაისიდან დღემდე არის თბილისის საპელაციო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2017 წლის 24 ივნისიდან დღემდე არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.</p>
10.	ბუგიანიშვილი ბესიკ	<p>დაიბადა 1980 წლის 7 აპრილს თბილისში.</p> <p>2002 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2002-2010 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე, მათ შორის სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს უფროსის თანამდებობაზე.</p> <p>2009-2010 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.</p>

		<p>2010 წლის დღემდე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2012 წელს მივლინებული იყო თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში მოსამართლისა და სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განსახორციელებლად.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი 15-მდე ტრენინგი, მათ შორის „კიბერდანაშაული“, „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა“ „სისხლის სამართლის პროცესის აქტუალური საკითხები“.</p>
11.	ბურჯალიანი იამზე	<p>დაიბადა 1962 წლის 10 მარტს ცაგერში.</p> <p>1989 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1990-2001 წლებში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას.</p> <p>2001-2009 წლებში იყო ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2009-2011 წლებში ჩარიცხული იყო საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვში. პარალელურად იყო ფ. გოგიჩაიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მიწვეული ლექტორი.</p> <p>2012 წლიდან დღემდე მუშაობს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ადამიანური რესურსების მართვისა და იურიდიული სამსახურის უფროსად.</p>
12.	გაბრიჩიძე ეკატერინე	<p>დაიბადა 1977 წლის 6 თებერვალს ქ. ონში.</p> <p>1998 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტთან არსებული თბილისის ჰუმანიტარული ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1999-2005 წლებში მუშაობდა თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ.</p> <p>2006-2012 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2012-2013 წლებში იყო ბოლნისის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე.</p> <p>2013 წლიდან დღემდე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვადასხვა ტრენინგი, მათ შორის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“ და სხვა.</p>
13.	გელაშვილი დავით	<p>დაიბადა 1975 წლის 7 მარტს ქ. ხაშურში.</p> <p>1998 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2000-2007 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხაშურის რაიონულ შსს განყოფილებაში უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე.</p> <p>2007-2009 წლებში იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.</p>

		<p>2009-2010 წლებში ჩარიცხული იყო საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვები.</p> <p>2010-2011 წლებში მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა წალკის რაიონულ სასამართლოში, 2011 წელს დაკისრებული ჰქონდა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება.</p> <p>2012-2016 წლებში იყო ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2017 წლის 25 მაისიდან დღემდე არის ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი რამდენიმე ტრენინგი, მათ შორის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ და „მტკიცებულებათა ცნება (შეფასება, დაშვება, გამოკვლევა, გამოქვეყნება და დემონსტრირება)“.</p>
14.	გიგიტაშვილი ნაირა	<p>დაიბადა 1957 წლის 22 მარტს ქ. ხაშურში.</p> <p>1986 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1986-1991 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის პროკურატურაში პროკურორის თანამემწედ (არასრულწლოვანთა ხაზით).</p> <p>1991-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს გენერალური პროკურატურაში, სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორის, შემდეგ კი უფროსი პროკურორის თანამდებობებზე.</p> <p>1999-2006 წლებში იყო თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის, ხოლო 2006-2009 წლებში თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2009-2013 წლებში მივლინების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა თბილისის საქალაქო სასამართლოში.</p> <p>2013 წლის იანვრიდან ივნისამდე იყო გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2009-2013 წლიდან დღემდე არის ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვადასხვა ტრენინგი, მათ შორის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, „მოწმის დაკითხვის ახალი წესი“, „ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები (ზოგადი კურსი)“ და სხვა.</p> <p>არის ორი სამართლებრივი სტატიის ავტორი „ევენტუალური განზრახვის პრობლემა სისხლის სამართალში“; „ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით“.</p>
15.	გორგაშვილი სანდრო	<p>დაიბადა 1962 წლის 19 დეკემბერს ყვარელში.</p> <p>1986 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1993-1999 წლებში იყო ყვარლის რაიონის სასამართლოს ადმინისტრაციული და სააღსრულებო წარმოების მოსამართლე.</p> <p>1999-2004 წლებში იყო გურჯაანის რაიონული სასამართლოს</p>

		მოსამართლე, სასამართლოს თავმჯდომარე. 2012 წლიდან დღემდე არის გურჯაანის რაიონული პროკურატურის პროკურორი.
16.	გლოველი მარინა	<p>დაიბადა 1958 წლის 17 ივნისს ქ. თბილისში.</p> <p>1984 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართლმცოდნეობის სპეციალობით და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2017 წლიდან დღემდე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი.</p> <p>1985-1999 წლებში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას.</p> <p>1999-2005 წლებში იყო თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2005-2009 წლებში ირიცხებოდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვში.</p> <p>2009-2013 წლებში იყო შპს „დავების განმხილველი ცენტრის“ არბიტრი.</p> <p>2009 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას.</p> <p>2016 წლიდან დღემდე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვადასხვა ტრენინგი, მათ შორის ერთკვირიანი სასწავლო კურსი საარჩევნო კანონმდებლობის საკითხებზე.</p>
17.	გოგატიშვილი დიანა	<p>დაიბადა 1975 წლის 4 აგვისტოს თბილისში.</p> <p>1998 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1999-2005 წლებში მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ.</p> <p>2006-2011 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2011-2016 წლებში იყო მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2016 წელს იყო თბილისის საქალაქო სასამართლოში მთავარი კონსულტანტი - მოსამართლის თანაშემწე (მწერალი თანაშემწე)</p> <p>2017 წლის მაისიდან დღემდე არის რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი 40-მდე ტრენინგი, მათ შორის საკორპორაციო სამართლის სამეტაპიანი კურსი, ამასთან 2018 წელს მონაწილეობას იღებდა ორკვირიან სასწავლო ვიზიტში ვაშინგტონსა და ჩიკაგოში აშშ-ს სასამართლო სისტემის თავისებურებების გაცნობის მიზნით.</p>
18.	გოგიშვილი მიხეილ	<p>დაიბადა 1966 წლის 7 ოქტომბერს ქ. მცხეთაში.</p> <p>1992 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1993-1994 წლებში მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის აპარატში სახელმწიფო მრჩევლის თანამდებობაზე.</p>

		<p>1996-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურში სახელმწიფო მრჩევლის, ხოლო შემდეგ ამავე სამსახურში რეფერენტის თანამდებობაზე.</p> <p>1999-2000 წლებში იყო თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2000-2010 წლებში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი.</p> <p>2010 წლის აპრილიდან დღემდე არის სს „საქართველოს რკინიგზაში“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.</p> <p>2206-2010 წლებში იყო სამართლებრივი უზრნალის რედაქტორი.</p> <p>2008-2015 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის ლექტორი.</p> <p>2013 წლიდან დღემდე არის კავკასიის უნივერსიტეტის ლექტორი. არის სამართლებრივი წიგნის „კომუნიკაცია სასამართლოში“ თანაავტორი (2013).</p>
19.	გოგოხია თემურ	<p>დაიბადა 1977 წლის 2 ნოემბერს ქ. გალში.</p> <p>2000 წელს დაამთავრა სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის თბილისის მართვის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2008-2010 წლებში იყო ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.</p> <p>2010-2013 წლებში იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.</p> <p>2013-2017 წლებში იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.</p> <p>2017 წლიდან დღემდე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე და ამავე კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.</p>
20.	გოცირიძე კობა	<p>დაიბადა 1966 წლის 10 აგვისტოს ქ. ხაშურში.</p> <p>1992 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2002-2005 წლებში იყო ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2005-2010 წლებში იყო ქუთაისის საპელაციო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2010-2015 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2015-2016 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრი.</p> <p>2016 წლის თებერვლიდან დღემდე არის მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p>
21.	გურგუჩიანი ლეილა	<p>დაიბადა 1955 წლის 25 მაისს ცაგერის რაიონის სოფელ ორბელში.</p> <p>1985 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.</p>

		<p>1985-1987 წლებში გაიარა მოსამართლის სტაჟირება ქ. თბილისის საქართველოს რაიონის სასამართლოში.</p> <p>1987-1991 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კანონთა მომზადებისა და სისტემატიზაციის რედაქციაში უფროს რედაქტორად, შემდგომ სამართლებრივი აღზრდისა და საყოველთაო სამართლებრივი სწავლების სამართველოში უფროს კონსულტანტად.</p> <p>1991-2011 წლებში იყო ცაგერის რაიონულ სასამართლოს მოსამართლე და ამავდროულად ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.</p> <p>2011-2012 წლებში იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.</p> <p>2012 წლის ნოემბრიდან 2017 წლის მაისამდე იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე.</p> <p>2017 წლის 25 მაისიდან დღემდე არის ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ონის მუნიციპალიტეტში. გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი რამდენიმე ტრენინგი, მათ შორის: სპეციალური მომზადება პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე.</p>
22.	დარახველიძე გიორგი	<p>დაიბადა 1979 წლის 7 მაისს ქ. ტყიბულში.</p> <p>2002 წელს დაამთავრა თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2004-2006 წლებში მუშაობდა რუსთავის შს სამართველოში გამომძიებლად.</p> <p>2006-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს კონსულტანტად.</p> <p>2007-2009 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.</p> <p>2009-2011 წლებში იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2011-2012 წლებში მივლინებული იყო სენაკის რაიონული სასამართლოში და ამავდროულად ახორციელებდა თავმჯდომარის უფლებამოსილებას.</p> <p>2012 წელს იანვრიდან დეკემბრამდე იყო სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2012-2013 წლებში იყო საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.</p> <p>2013 წლის მარტიდან არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.</p>
23.	დარბაიძე ლევან	<p>დაიბადა 1979 წლის 24 ივლისს თბილისში.</p> <p>2001 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2010 წელს დაამთავრა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიენიჭა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი.</p> <p>2001-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობებზე.</p> <p>2006-2012 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში შიდა კონტროლის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.</p> <p>2012-2013 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის</p>

		<p>მსმენელი.</p> <p>2014-2016 წლებში იყო ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.</p> <p>2016 წლის 15 თებერვლიდან დღემდე არის გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი 10-მდე ტრენინგი საქართველოს ფარგლებს გარეთ, მათ შორის „ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ“, „მკვლელობა ძველ ქართულ სამართალში“ და სხვა.</p> <p>არის სამეცნიერო მონოგრაფიის ავტორი „ალექსანდრე ამილახვრის სამართლებრივი შეხედულებები“.</p> <p>მინიჭებული აქვს ღირსების ორდენი.</p>
24.	დიდავა გოჩა	<p>დაიბადა 1964 წლის 27 თებერვალს ქ. ქუთაისში.</p> <p>1987 წელს დაამთავრა ნ. მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი.</p> <p>2000 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.</p> <p>1994-1997 წლებში მუშაობდა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორის ურთიერთობათა კომიტეტში წამყვან სპეციალისტად.</p> <p>1998-1999 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მინისტრის ბიუროს უფროსი.</p> <p>1999-2016 წლებში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო განყოფილების უფროსი.</p> <p>2014 წელს დაამთავრა იუსტიციის უმაღლესი სკოლა.</p> <p>2016 წლის 25 ივლისიდან გამწესდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთ კოლეგიის მოსამართლედ.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი რამდენიმე ტრენინგი, მათ შორის „საქართველოს სასამართლოების საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა“ და „ევროპის საბჭოს და ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს საქმიანობა და გადაწყვეტილებები“.</p>
25.	დუგლაძე ქეთევან	<p>1962 წლის 15 იანვარს ქ. ზესტაფონში.</p> <p>1986 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1992-1999 წლებში მუშაობდა დუშეთის №1 საშუალო სკოლაში სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების მასწავლებლად.</p> <p>1999-2005 წლებში იყო თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2005 წლის ნოემბრიდან 2006 წლის მაისამდე ირიცხებოდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვში.</p> <p>2006-2009 წლებში იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს</p>

		<p>მოსამართლე.</p> <p>2009 წელს დაინიშნა ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ, ამავე წელს დაეკისრა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება.</p> <p>2010 წლის 6 აგვისტოდან დღემდე არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი რამდენიმე ტრენინგი, მათ შორის საკორპორაციო სამეწარმეო სამართლისა და დისკრიმინაციის აკრძალვის თაობაზე.</p>
26.	ესებუა ზვიად	<p>დაიბადა 1968 წლის 9 ოქტომბერს ქ. სოხუმში.</p> <p>1990 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1991-1993 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ა/რ იუსტიციის სამინისტროში, თავდაპირველად კონსულტანტის, ხოლო შემდეგ წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე.</p> <p>1993-1999 წლებში იყო ქ. სოხუმის სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>1999-2009 წლებში იყო გალი-გულრიფშის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.</p> <p>2009-2015 წლებში იყო სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, მივლინების საფუძველზე უფლებამოსილებას ახორციელებდა თბილისის საქალაქო სასამართლოში.</p>
27.	ზარქუა ნონა	<p>დაიბადა 1965 წლის 13 ნოემბერს სამტრედიაში.</p> <p>1992 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2011 წლიდან დღემდე არის ამავე უნივერსიტეტის დოქტორანტი.</p> <p>1993-2000 წლებში მუშაობდა თბილისის მერიის სახელმწიფო ქონების მართვის საქალაქო სამმართველოში იურიდიული სექტორის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე.</p> <p>2000-2002 წლებში ასრულებდა დმანისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებას.</p> <p>2002-2005 წლებში იყო ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2005-2012 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2012-2015 წლებში მუშაობდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო მედიაციის სამსახურში სამედიცინო დავების განხილვისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე.</p> <p>სხვადასხვა დროს ახორციელებდა პედაგოგიურ საქმიანობას.</p> <p>2015 წლიდან დღემდე არის სამტრედიის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ხონის მუნიციპალიტეტში.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი რამდენიმე ტრენინგი, ამასთან მონაწილეობდა სამ კვირიან</p>

		<p>სწავლებაში „სამოსამართლეო პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბერლინის, ბრემენისა და სტრასბურგის სასამართლოებში“.</p> <p>არის სამართლებრივი სტატიების ავტორი „ნატურით რესტიტუციის პრინციპები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში“, „სანივთო და ვალდებულებითი უფლებების გამოჯვნა პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამართალში“.</p>
28.	თედორაძე ლერი	<p>დაიბადა 1964 წლის 4 აპრილს ლენტეხში.</p> <p>1988 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1992-1999 წლებში მუშაობდა ქ. ქუთაისის პროკურატურაში პროკურორის თანამდებობაზე.</p> <p>1999-2002 წლებში იყო ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2002-2009 წლებში იყო წყალტუბოს რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.</p> <p>2009-2012 წლებში იყო ხობის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2012-2013 წლებში იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2013-2016 წლებში იყო საჩხერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე თავმჯდომარე.</p> <p>2016 წლიდან დღემდე არის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, ხოლო 2017 წლის აგვისტოდან ამავე სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.</p>
29.	თოფჩიშვილი რევაზ	<p>დაიბადა 1976 წლის 6 თებერვალს თბილისში.</p> <p>1999 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2006-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოში, სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე დისციპლინური სამართალწარმოების სამმართველოს კონსულტანტის თანამდებობაზე.</p> <p>2007-2010 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2010 წლიდან დღემდე არის სს „საქართველოს ბანკის“ იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლობის უზრუნველყოფის სამსახურის, საპროცესო წარმომადგენლობის უზრუნველყოფის ჯგუფის იურისტი.</p>
30.	კახიძე როინ	<p>დაიბადა 1973 წლის 2 მარტს ქედაში.</p> <p>1997 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2005-2007 წლებში იყო ნინოწმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2007-2012 წლებში ახორციელებდა მოსამართლის უფლებამოსილებას ლენტეხის რაიონულ, ხოლო 2012-2013 წლებში</p>

		<p>ცაგერის რაიონული სასამართლოებში.</p> <p>2015 წლის აგვისტოდან 2018 წლის 1 აგვისტომდე იყო ცაგერის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავდროულად დაკისრებული ჰქონდა თავმჯდომარის უფლებამოსილება.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი რამდენიმე ტრენინგი, მათ შორის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“; არასრულწლოვანთა ურთიერთობის მეთოდიკა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები“.</p>
31.	კეკენაძე დავით	<p>დაიბადა 1956 წლის 22 ოქტომბერს ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვაში.</p> <p>1983 წელს დაამთავრა უდმურტეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1983-1986 წლებში მუშაობდა ქ. იუვესკის ლენინის რაიონის უდმურტეთის პროკურატურის ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობაზე.</p> <p>1992-1993 წლებში ეკავა ჭიათურის რაიონული პროკურატურაში პროკურორის თანაშემწის თანამდებობა.</p> <p>1994-2001 წლებში იყო აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2002-2013 წლებში იყო საჩხერის რაიონული, ქუთაისის საოლქო, ზუგდიდის რაიონული და სენაკის რაიონული სასამართლოების მოსამართლე.</p> <p>2013-2015 წლებში სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში.</p> <p>2016 წლის იანვრიდან დღემდე არის საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ჭიათურის მუნიციპალიტეტში.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი 40-მდე ტრენინგი, მათ შორის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.</p> <p>არის 5 სამართლებრივი სტატიის ავტორი.</p>
32.	კიკილაშვილი ხვიჩა	<p>დაიბადა 1966 წლის 13 დეკემბერს დედოფლისწყაროში.</p> <p>1994 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1995-2004 წლებში მუშაობდა თელავის რეგიონალურ სამხედრო პროკურატურაში გამომმიებლის, პროკურორის თანაშემწისა და პროკურატურის მოადგილის თანამდებობებზე.</p> <p>2006-2011 წლებში მუშაობდა სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე.</p> <p>2011-2013 წლებში იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, ხოლო 2013-2015 წლებში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2016 წლის იანვრიდან დღემდე არის ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი რამდენიმე ტრენინგი, მათ შორის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის თაობაზე“.</p>

33.	კოპალიანი ჯემალ	<p>დაიბადა 1958 წლის 10 იანვარს გულრიფშის რაიონის სოფელ მერხეულში.</p> <p>1985 წელს დაამთავრა აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1993-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს სამხედრო პროკურატურის სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე.</p> <p>2004-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, რეგიონებში გამოიიბაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი პროკურორის თანამდებობაზე.</p> <p>2005-2015 იყოს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2016-2017 წლებში ეკავა თბილისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრის თანამდებობა.</p> <p>2017 წლის მაისიდან დღემდე არის ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>მიღებული აქვს ღირსების მედალი (1998 წ.).</p> <p>გამოქვეყნებული აქვს ერთი სამართლებრივი სტატია.</p>
34.	კოხრეიძე ლეილა	<p>დაიბადა 1978 წლის 15 თებერვალს ქ. მოსკოვში.</p> <p>2000 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავხიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2015 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მინიჭებული აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.</p> <p>2001-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ.</p> <p>2006-2016 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2017 წლიდან დღემდე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მაგისტრი.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი 20-მდე ტრენინგი, მათ შორის „ბავშვის უფლებების დაცვა“; „ბავშვის ზრუნვის და სამართლებრივი ასპექტები“; „ქალთა წვდომა მართლმსაჯულებისადმი აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში“ და სხვა.</p> <p>არის სამართლებრივი სტატიების ავტორი „მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობები“, „სასამართლო მედიაციის სამართლებრივი ასპექტები“ და სხვა.</p> <p>2012-2013 წლებში უძღვებოდა სალექციო კურსს სამოქალაქო საპროცესო სამართალი თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში.</p> <p>2017 წლის მარტიდან არის სამოქალაქო საპროცესო სამართლის კურსის ლექტორი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.</p> <p>2018 წლის მარტიდან არის საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის მოწვეული ლექტორი.</p> <p>გამოქვეყნებული აქვს 7 სამართლებრივი სტატია.</p> <p>არის საერთო სასამართლოებს შორის 2011 წელს გამართული ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ გამარჯვებული გუნდის წევრი“.</p> <p>მონაწილეობა აქვს მიღებული ორ საერთაშორისო კონფერენციაზე მოხსენებით, თემაზე: „სამოქალაქო - სამართლებრივი ნორმების</p>

		განმარტების პროცედურები ანდერძის ნამდვილობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას“.
35.	ლობჟანიძე გიორგი	<p>დაიბადა 1975 წლის 29 აგვისტოს ქ. ხაშურში.</p> <p>1996 წელს დაამთავრა პროფესორ ჯ. ბაქრაძის სახელობის თბილისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2000-2006 წლებში ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას.</p> <p>2006 წელს მუშაობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოში კონსულტანტის თანამდებობაზე.</p> <p>2006-2007 წლებში იყო ჯავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. 2007-2017 წლებში იყო მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2018 წლის თებერვლიდან დღემდე არის ააიპ „ოუფენ ნეტის“ იურისტი.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი 30-მდე ტრენინგი, მათ შორის „განაჩენის ფორმა; მისი დასაბუთება და ტექსტის სტილისტიკური გამართულობა“, ასევე 2014 წელს მიღებული აქვს მონაწილეობა სასწავლო ვიზიტში სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.</p>
36.	ლომიძე ალექსანდრე	<p>დაიბადა 1987 წლის 20 აპრილს ქ. თბილისში.</p> <p>2008 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</p> <p>2011 წელს დაამთავრა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, მიენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი.</p> <p>2009-2016 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, სხდომის მდივნის და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე.</p> <p>2016-2017 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.</p> <p>2018 წლის აპრილიდან დღემდე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი რამდენიმე ტრენინგი.</p>
37.	მამისეიშვილი დავით	<p>დაიბადა 1978 წლის 24 აგვისტოს ქ. ქუთაისში.</p> <p>2000 წელს დაამთავრა ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2002-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო საგამოძიებო სამსახურში გამომდიებლად.</p> <p>2004-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველოში გამომდიებლად.</p> <p>2005-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობებზე.</p> <p>2008-2009 წლებში იყო ქედის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.</p> <p>2009-2013 წლებში იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს</p>

		მოსამართლე და ამავდროულად სასამართლოს თავმჯდომარე. 2013 წლიდან არის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.
38.	მამულია რომან	<p>დაიბადა 1963 წლის 15 თებერვალს სენაკში.</p> <p>1990 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2000-2011 წლებში იყო სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, თავმჯდომარე.</p> <p>2011 წლიდან დღემდე ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას.</p> <p>2018 წლის აგვისტოდან დღემდე არის სენაკის №63-64 საარჩევნო კომისიის იურისტი.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი 10-მდე ტრენინგი.</p> <p>გამოქვეყნებული აქვს 3 სამართლებრივი სტატია, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის მიმართულებით.</p>
39.	მარგველაშვილი ნიკოლოზ	<p>დაიბადა 1985 წლის 19 ოქტომბერს ქ. ქუთაისში.</p> <p>2007 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</p> <p>2010 წელს დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი.</p> <p>2007-2010 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში თავდაპირველად სპეციალისტის, ხოლო შემდეგ სხდომის მდივნის თანამდებობაზე.</p> <p>2010-2011 წლებში მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში სხდომის მდივნის თანამდებობაზე.</p> <p>2012-2013 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.</p> <p>2013-2015 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურში ეკავა წამყვანი აუდიტორის თანამდებობა.</p> <p>2016 წლის იანვრიდან დღემდე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი 20-მდე ტრენინგი, მათ შორის „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“; „ნარკომომხმარებელთა უფლებები“.</p> <p>ამასთან მონაწილეობა აქვს მიღებული ათდღიან სამუშაო შეხვედრაში, რომლის მიზანი იყო საერთო სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ დებულების პროექტის შემუშავება.</p>
40.	მარსაგიშვილი ნიკოლოზ	<p>დაიბადა 1974 წლის 16 ივნისს თბილისში.</p> <p>1997 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>1999-2003 წლებში მუშაობდა დუშეთის რაიონულ პროკურატურაში გამომძიებლის თანამდებობაზე.</p> <p>2003-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს</p>

		<p>ფინანსური პოლიციის აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებლის, ხოლო შემდეგ უფროსი გამომძიებლის თანამდებობებზე.</p> <p>2005-2007 წლებში ეკავა დუშეთის რაიონული პროკურორის, ხოლო შემდეგ მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის პროკურორის თანამდებობა.</p> <p>2007-2008 წლებში იყო შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი.</p> <p>2008 წლის ნოემბრიდან არის გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე.</p> <p>არის ღირსების მედლის მფლობელი (2008 წ.).</p> <p>იყო მიწვეული ექსპერტი იუსტიციის უმაღლესი სკოლაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საკითხებზე.</p>
41.	მარტიაშვილი ზაზა	<p>დაიბადა 1977 წლის 4 ივლისს ქ. ნიუნი-ნოვგოროდში (რუსეთი).</p> <p>2006 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</p> <p>2008 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიენიჭა მაგისტრის აკადემიური ხარისხი.</p> <p>2002-2006 წლებში იყო შპს „მირანდა 2000“-ის იურისტი.</p> <p>2006-2007 წლებში მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანამემწის თანამდებობაზე.</p> <p>2007-2009 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.</p> <p>2009-2010 წლებში იყო გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>2010 წლის ნოემბრიდან დღემდე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი 30-მდე ტრენინგი, მათ შორის „რელაციის ტექნიკა“; „კონკურენციის სამართალი“; „ლიზინგი“ და სხვა.</p>
42.	მერაბიშვილი ნათია	<p>დაიბადა 1981 წლის 2 ნოემბერს თბილისში.</p> <p>2004 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.</p> <p>2005 წლის მარტიდან სექტემბრამდე მუშაობდა იურიდიულ ფირმა „დემოკრატია და სამართალში“ ადვოკატად, პარალელურად შპს „ახალციხის რაიონულ პოლიკლინიკაში“ იურისტის თანამდებობაზე და ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალში იურიდიული ფაკულტეტზე პედაგოგად.</p> <p>2005-2011 წლებში მუშაობდა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურაში გამომძიებლის თანამდებობაზე.</p> <p>2011-2012 წლებში იყო სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.</p> <p>2012 წლის მაისიდან დღემდე არის ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე.</p> <p>გავლილი აქვს პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი 10-მდე ტრენინგი, მათ შორის „სასამართლო მედიაცია“ და</p>

		„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, ასევე მონაწილეობა აქვს მიღებული სასწავლო ვიზიტში 2018 წელს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში აშშ-ს სასამართლო სამართალწარმოების თავისებურებების, ასევე სამოსამართლო ეთიკასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების გასაცნობად.
